სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
16.05.2017 N 83
თბილისი

სტუ-ს წარმოამადგენლობითი საბჭოში (სენატში)
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტიდან
სტუდენთა წარმომადგენლების
არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) და სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 16 მაისი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართვლოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოში (სენატში) ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტიდან სტუდენტთა წარმოამდგენელთა არჩევნები 2 ვაკანტურ ადგილზე, დაინიშნოს 2017 წლის 6 ივნისს;
2. წარმომადგენლობითი საბჭოში (სენატში) სტუდენტების წარმომადგენლებს ირჩევს ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 24 მაისს და დასრულდეს 2017 წლის 30 მაისს.
4. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.

5. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.
6. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების დღეს თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
7. ბრძანება განთავსდეს ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი / ა. ფრანგიშვილი

ვიზა:

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი / *ბ.მაისურაძე*